ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3011016

ნომერი: AR1461424

თარიღი : 05.12.2016

გაცემის თარიღი : 21.12.2016

გაცნობის თარიღი : 21.12.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიმდებარედ (ნაკვეთი 01/096)/ ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიმდებარედ (ნაკვეთი 01/097)/ ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი II და IV მ/რ-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დალი ბენაშვილი პ/ნ 01034005571
- თბილისი დ.ბერიაშვილის ქ. N 21

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39

დადგენილების "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1461424 05.12.2016 წ. განცხადება, რომლითაც ითხოვთ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: №01.10.06.001.215) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას.
გაცნობებთ, რომ ერთიანი საპროექტო არეალი გაიმიჯნა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შეუსაბამოდ. ტერიტორიის გაუნაშენიანებლობიდან გამომდინარე საჭიროებს გრგ-ს რეჟიმს.
აღნიშნული ტერიტორია უნდა განვითარდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ)-ს ფარგლებში (მინიმალურუ ფართი 5000 კვ.მ) შესაბამისად არქიტექტურის სამსახურს თქვენ დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის დამოუკიდებლად სამშენებლოდ განვითარება ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

აღნიშნულის განსახორციელებლად უნდა შეცვალოთ ნომენკლატურა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დასადგენად, შესაბამისად უნდა დაარეგისტიროთ განაცხადი: მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები > განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახური ვერ გასცემს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.